პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 2 აპრილი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 71 (759) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## 29 მარტისათვის დანიშნული სამხკორთა თათბირი გადადებულია

5 აპრილისსთვის დილის 10 საათზე.

პ. მგ. სამხკორთა, პარტკორთა და ახკომკავშირთა დასწრება სავალდებულოა.

რედაქცია.

## ძვირად დაუჯდებათ ეს ვერაგობა.

ბურჟუაზიულ პოლონეთმა ჩაიდინა მორიგი საზიზღარი მკვლელობა.

30 მარტს პოლონეთის პოლიციელებმა ვერაგულად მოკლეს ორი რევოლიუციონერი ვეჩერკოვიჩი და ბაგინსკი, რომლებიც უნდა გადაცვლილიყვენ ორ პოლონელ ჯაშუშზე. ეს არ არის პირველი მკვლელობა და მხეცობა, რაც სჩვევია პოლონეთის ხელისუფლებას.

მათ არა ერთხელ და ორხელ მოუხდენიათ შეიარაღებული თავდასხმები საბჭოთა კავშირის საზღვრებზე და დაურბევიათ საბჭოთა მცხოვრებლები. როგორც სჩანს ეს ხელობა მათ დღესაც არ გაუგდიათ ხელიდან და განაგრძობენ თავის ბოროტ მოღვაწეობას. ამ უკანასკნელად ჩადენილი მკვლელობა თავისი მხეცობით აჭარბებს ყველა აქამდე მომხდარს. პოლიტიკურ პატიმრებს, რომლების გაცვლაზე თვით პოლონეთის მთავრობამ განაცხადა თანხმობა, გზაში კლავენ ამავე მთავრობის ხელქვეითი პირები. ორში ერთი. ან პოლონეთის მთავრობას არ აქვს არავითარი გავლენა თავის ქვეშევრდომებზე, ან თვით ურევია ხელი ამ სისხლიან საქმეში. ჩვენის აზრით სიმართლესთან ახლოა უკანასკნელი დებულება.

არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ ეს იმიტომ, რომ პოლონეთის ბანდების თარეშმა და თავდასხმებმა ჩვენ საზღვრებზე უკვე სავსებით დაადასტურეს ის, რომ ყველა ამ თავდასხმების, მკვლელობების და დარბევების სულის ჩამდგმელი არის თვით პოლონეთის ხელისუფლება. მტკიცდება ეს კიდევ იმ გარემოებით, რომ პოლონეთის ბურჟუაზიული გაზეთები ფარული სიხარულით შეხვდენ ამ ვერაგობას.

მაგრამ მით უარესი პოლონეთის მყვლეფელებისათვის.

თავისი საქციელით ისინი თვით უწყობენ ხელს მშრომელთა მასების გამოღვიძების საქმეს და თავისი აღსასრულის მოახლოვებას. მათ მოკლეს ორი საუკეთესო რევოლიუციონერი ვეჩერკოვიჩი და ბაგინსკი, რომლებმაც გულახდილად დაგმეს ბურჟუაზიული წყობილება და გადავიდენ პროლეტარულ რევოლიუციის მებრძოლთა ბანაკში. და პოლონეთის ბურჟუაზიამ შური იძია მათზე, ვინაიდან ისინი იყვნენ პოლონეთის მაღალ საზოგადოებიდან გამოსული პირები. ეს შურისძიება ძვირად დაუჯდება ავაზაკების და მკვლელების რესპუბლიკას.

ორი პოლონელი ჯაშუში, რომლებიც უნდა მიეცა საბჭოთა მთავრობას ვეჩერკოვიჩისა და ბაგინსკის ნაცვლად, იმყოფებიან ჩვენს ხელში. ერთი მათგანი მღვდელი უსისსი იშვიათი ზნე დაცემული და გათახსირებული ადამიანია, რომელსაც ბრალი ედება მასთან მიმავალ მთხოვნელ ქალების წამებაში და ძალით გაუპატიურებაში.

ორივე ეს ბოროტმოქმედნი გასამართლებული იქნებიან პროლეტარული სასამართლოს მიერ, რომელიც მზეზე გამოიტანს მათ და საზოგადოთ პოლონეთის წარმომადგენლობის ბნელ საქმეებს.

პოლონეთის ბურჟუაზიის თავგასულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. საბჭოთა კავშირი მას გასცემს ღირსეულ პასუხს მღვდელი უსისსის და მისი თანამოძმეს საბრალმდებლო სკამზე დასმით.

როგორც საერთაშორისო პროლეტარიატი ისე პოლონეთის მშრომელთა მასები სათანადო დასკვნას გამოიტანენ ამიდან და გაასკეცებულ ენერგიით შეუტევენ გაცოფებულ ბურჟუაზიას, რომელიც თავის ბატონობის შენარჩუნების მიზნით სასტიკი თეთრი ტერორის საშვალებით აყენებს მშრომელთა სისხლის და ცრემლების ტბას.

შორს არ არის ის დრო, როცა პოლონეთის ჯალათებს ყოველივე მათი საძაგლობა ერთი ორად გადახდება.

# ახალი რადიო-ამბები

## საჭიროა ჩვენი ურთიერთობის გადასინჯვა პოლონეთთან.

### საბჭოთა კავშირის მშრომელები აღშფოთებული არიან პოლონეთის ჯალათების ვერაგული საქმეებით

პოლონეთის ჯალათების ახალი მხეცური საქმე,—მკვლელობა ვეჩორკევიჩისა და ბაგინსკის, რომლებიც უნდა ყოფილიყვენ გაცვლილი პოლონეთის ჯაშუშ-ლაგინევიჩსა და ზნე-დაცემულ პატრ უსსასზე, დიდ აღშფოთებას იწვევს ჩვენი კავშირის პროლეტარულ მასებში. ეს აღმაშფოთებელი მკვლელობა არ არის პირველი შემთხვევა ჩვენი ურთი-ერთობის ისტორიაში პოლონეთთან.

მაგ. 1919 წლის ორ იანვარს ბელსკის მაზრაში, გროდნოს გუბერნიაში, სოფ. მენის ახლოს პოლონეთის ოფიცრის ლიასოცკის განკარგულებით ვერაგულად იქნენ მოკლული ჩვენი წითელი ჯვრის წარმომადგენლები—ვესელოვსკი, აივაზოვა, მარია ალტერი, ექიმი კლისცმანი და მძიმედ დაჭრილი—ალტერი.

8 სექტემბერს მოკლულ იქნა სანაპირო ჯართა კომისარი გერცენშტეინი, რომელიც საზღვრის გასინჯვის დროს შემთხვევით გადასცდა მას.

29 სექტემბერს პორუჩიკ ტროლმა და სერჟანტ სანოხამ ძალით გაიტაცეს სანაპირო რაიონიდან ცხენების მწყემსი წითელ-არმიელი ბატლეშოვი და მხეცურად მოჰკლეს.

ყოველთვის პოლონეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელობით ხდება შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე: მაგ. თავდასხმები სადგურ ვოიდანოვოზე და იამპოლზე 1924—25 წ.

1924 წლის 3 ივლისს ვარშავის ქუჩებში პოლონეთის „ახრანკის“ აგენტებმა სცემეს ჩვენი საელჩოს მდივან კანოცკის.

11 ოქტომბერს ვარშავში საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომელს კრავჩენკოს თავს დაესხა „ახრანკის“ აგენტი ჩერეპოვი, რომელიც სცდილობდა რაღაც მახვილი იარაღით თვალი დაევსო მისთვის

ამასთან უნდა აღინიშნოს ის ლანძღვა-გინება და წაქეზება, რომელსაც აწარმოებს პოლონეთის პრესა ჩვენი საელჩოს წინააღმდეგ ვარშავაში.

ეს ფაქტები მეტად ცხადია და არ მოითხოვენ განმარტებას. ჩვენი სურვილი კეთილმეგობრულ განწყობილებისა პოლონეთთან ყოველთვის წინააღმდეგობას ხვდება. ყველაფერს საზღვარი აქვს. საჭიროა ვუჩვენოთ თავის ადგილი აღვირ ახსნილ პოლონეთის მემამულეებს და ვაგრძნობინოთ, თუ როგორ არის საჭირო საბჭოთა კავშირთან ლაპარაკი. საბჭოთა კავშირის მშრომელთა აღშფოთება პოლონეთის საქციელით გვიჩვენებს, რომ საჭიროა გადასინჯულ იქნას ჩვენი ურთიერთობა პოლონეთთან.

## საბჭოთა კავშირის მთავრობის სასტიკი პროტესტი.

საგარეო საქმეთა კომისარიატის წარმომადგენელმა ბორკურევიჩმა სასტიკი პროტესტი განუცხადა საბჭოთა კავშირის სახელით პოლონეთის დიპლომატიური მისიის მრჩეველს ვეჩერკოვიჩისა და ბაგინსკის ჯალათურად მოკვლის გამო.

## მოსკოვის მუშათა დემონსტრაციები.

ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის ჯალათურად მოკვლამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მოსკოვის მუშებში. გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია.

დემონსტრანტებს მიესალმენ: პოლონეთის კომპარტიიდან—დომბალი, საფრანგეთიდან—სიუზანა ჟირო, გერმანიიდან—ნეიმანი და ინგლისის კომპარტიიდან—გედდესი.

## მცველების გაძლიერება პოლონეთის მისიის შენობასთან.

დემონსტრანტების ღრმა აღშფოთების გამო პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ, მოსკოვის მილიციამ მიიღო სასწრაფო ზომები პოლონეთის დიპლომატიური მისიის დასაცავად.

## საპროტესტო დემონსტრაციები.

საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებში მიდის დიდი დემონსტრაციები პოლონეთის ჟანდარმის მიერ ჩადენილ მხეცურ მკვლელობის გამო.

მუშა—მოსამსახურეთა ორგანიზაციებს და მოსწავლეობას სასტიკი პროტესტის რეზოლიუციები გამოაქვთ პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ.

---

## შტრეზემანი სპეკულიანტების ხარჯზეა.

მემარცხენე პაციფისტების გაზეთში გამოქვეყნებულია ერთ გავლენიან პირის წერილი, რომელშიც გამოქვეყნებულია გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის შტრეზემანის მონაწილეობა სპეკულიანტების ფირმის საქმიანობაში.

წერილში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ შტრეზემანის ორგანო „ცეიტი“ ღებულობდა ნივთიერ დახმარებას ხსენებული ფირმიდან.

## კომკავშირის ახალი ამოცანები წითელ ჯარში.

კომკავშირის წევრთა შორის მუშაობას წითელ ჯარში თან და თან უფრო მეტი ყურადღება ექცევა, როგორც არმიის პოლიტ-ორგანოების, ისე ახ. ლ. კ. კ. კომიტეტების მიერ.

საქ. კ. კ. ცეკამ პირველად დასვა ეს საკითხი მე-3-მე პლენუმზე, და თავის თეზისებში სათანადო მიმართულება მისცა კომკავშირის ჯარში მუშაობას.

პლენუმმა დიდი ყურადღებით განიხილა კომკავშირის მდგომარეობა არმიაში, ჯეროვნათ შეაფასა არმიის სპეციალური პირობები და ამ პირობებთან შეთანხმებით დაისახა არმიაში მუშაობის ახალი პერსპექტივები.

პირველყოვლისა პლენუმმა ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ საერთოთ სამოქალაქო კ. კ. ორგანიზაციები ცოტა შორს დგანან არმიისაგან, ნაკლებათ აწარმოებენ სამხედრო პროპაგანდას და სხვა.

პლენუმი თავის ამოცანათ ისახავს ერთი მხრივ, სამხედრო პროპაგანდის გაძლიერებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში; კლუბებში სამხედრო კუთხეების და სამხედრო წრეების მოწყობას და მეორე მხრივ, სამოქალაქო კომკავშირის ორგანიზაციებსა და არმიის კომკავშირელთა შორის მტკიცე კავშირის დამყარებას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ კომკავშირის ორგანიზაციული მუშაობა ჯარში დამთავრებულია. შემდეგი მორიგი ყურადღება არმიის პარტორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ თვით დამხმარე ჯგუფების მუშაობის გამშინაარსიანებას, კომკავშირის ახალი აქტივის აღზრდას, პარტიის გავლენის გაღრმავებას, კომკავშირის წევრების აქტიურ მუშაობაში ჩაბმას და სხვა.

პლენუმმა აგრეთვე ხაზი გაუსვა დამხმარე ჯგუფების ნაკლებ ყურადღებას მუშაობისადმი, მათი მომზადების ნაკლებ დონეს, კომკავშირელთა შორის მომუშავე ორგანიზატორების ხშირ ცვლას, სათანადო შეურჩევლობას და მიუთითებს: ახალგაზრდობის მოძრაობის შემსწავლელ წრეების დაარსებაზე, კომკავშირის ლიტერატურის გავრცელებას და კომკავშირელთა შორის მომუშავე ორგანიზატორების სტაბილიზაციაზე.

პლენუმმა შეაფასა რა სათანადოთ ტერ-სისტემის უპირატესობა, მიზნათ დაისახა მისი ფართე პროპაგანდა კომკავშირელ და უპარტიო ახალგაზრდობაში.

დაბოლოს პლენუმმა დაწვრილებით განიხილა მწევამდელთა შორის მუშაობა, აღნიშნა მასში პოლიტიკური მუშაობის სისუსტე და მიზნათ დაისახა აქ მუშაობის ყოველმხრივ გაცხოველება, დეზერტირობის მოსპობა, კულტურულ განმანათლებელი მუშაობის წარმოება და კომკავშირის კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობა.

ამ უკანასკნელს პლენუმი მწევამდელთა შორის მუშაობის ყურადღების ცენტრში აყენებს და მიუთითებს მის ყოველმხრივ გაცხოველებისაკენ.

პ. მიროტაძე.

## გაიხსნა ბალტიის სახელმწიფოთა ყორნების კონფერენცია.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რიგაში, წინასწარ თათბირის შემდეგ, 31 მარტს გაიხსნა ბალტიის სახელმწიფოების გენერალურ შტაბთა წარმომადგენლების კონფერენცია პოლონეთისა და რუმინეთის მონაწილეობით.

როგორც ვიცით კონფერენციის მოწვევის ფაქტს უარყოფდა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და ლატვიის მთავრობა.

## ამხ. სადულის გასამართლება.

31 მარტს ორლეანის სამხედრო სასამართლო შეუდგა საფრანგეთის კომუნისტ სადულის საქმეს.

სადულს იცავენ ბერტონის და ფლიაში. დამცველები მოითხოვენ მთელ რიგ მოწმეების, მათ რიცხვში ლუნაჩარსკის, რაკოვსკის, შლიაპნიკოვის, ვილინისა და როსოვის მოწვევას.

შემდეგ სწარმოებს სადულის დაკითხვა. ის დაწვრილებით ჩერდება საქმის გარემოებაზე და ამტკიცებს ბრალდების უსაფუძვლობას.

## ასი გერმანელი ჯარის-კაცის დაღუპვა.

ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ ჯარების მანევრების დროს, ზემო ვეზერის რაიონში მოხდა უბედური შემთხვევა.

ხიდი, რომელიც აგებული იყო მესანგრეების მიერ, ჩაინგრა ჯარის გავლის დროს და დაიღუპა ასამდე ჯარისკაცი.

## გერმანიის მენშევიკები ქრთამს იღებდენ მრეწველ სტინესიდან.

გაზეთ „ველტ ამ აბენდში" მოთავსებულია წერილი, რომელშიაც მოყვანილია დაწვრილებით, თუ როგორ გადასცა სტინესმა 1920 წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას 250.000 მარკა.

გაზეთის სიტყვით ეს ფულები იყო არა უბრალო საჩუქარი, არამედ ქრთამი, რომელიც მიცემული იყო იმისთვის, რათა სოციალისტებს ეწარმოებიათ საარჩევნო კამპანია არა მარტო მემარჯვენე პარტიების, არამედ მემარცხენე, განსაკუთრებით დამოუკიდებელ სოციალისტების წინააღმდეგ.

## უჯრედების მდივანთა და აგიტ-პროპ-მომუშავეთა თათბირი.

**საარმიო თათბირის პრეზიდიუმი.**

თათბირის პრეზიდიუმში არჩეული არიან: ამხ. ამხ. ორჯონიკიძე, კორკი, რატნეკი, შალიგინი, მირზა ალიევი, გოგია, სტელმახი, კრუგლიკოვი, საპოგოვი, გულიკევხიანი, ლებედევი, სნეგირევი, კოლიაშვილი, შიროჩენკო, მორდვინცევი, სუტირინი.

**უჯრედების მდივანთა მოხსენებები.**

31 მარტის დილის სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს 10 ამხანაგმა.

**გულიკევხიანი** (სომხეთის დივიზიის 1 ლეგიონი). ჩვენი ლეგიონი ნუმერულ დივიზიების ლეგიონებთან შედარებით ახალგაზრდაა და ნაკლები გამოცდილება აქვს მუშაობაში ლეგიონში სულ ათასეულის ტიპის ხუთი უჯრედია. პარტორგანიზაცია რიცხვობრივად შედარებით არ არის დიდი. ორგანიზაციის მთელი შემადგენლობიდან ჩვენ გვყავს წითელარმიელებიდან კანდიდატები და წევრები 18 პროცენტამდი.

ლეგიონის პარტშემადგენლობა დატვირთულია პარტდავალებებით. კომკავშირელთა შორის მუშაობა აღმზრდელობითი ხასიათს ატარებს.

უპარტიოთა შორის მუშაობა სწარმოებს ლენინის კუთხეებსა და ღია კრებებზე. დამსწრე უპარტიო წითელ-არმიელთა რიცხვი თან და თან იზრდება. გვაქვს კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან და გვყავს სოფელი შეფობის ქვეშ.

**ყირიმოვი** (ადერბეიჯანის პოლიტსკოლა). სკოლაში არის სამი უჯრედი. კრება ხდება თვეში ორხელ უჯრედისა და ორხელ კოლექტივის. ყველა წევრები და კანდიდატები ჩაბმული არიან მუშაობაში. მიქცეული აქვს ყურადღება დისციპლინის გაძლიერებას, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და დივიზიის ნაწილებთან მტკიცე კავშირი არსებობს.

**ჩინოსოვი** (1-ლი დივიზიის არტლეგიონი).

ნაწილში დისციპლინა მტკიცდება. უპარტიო წითელ არმიელთა შორის ფართედ სწარმოებს მუშაობა. ძლიერდება უპარტიო წითელ არმიელთა მასებში პოლიტიკური აქტიურობა.

გუნდის უჯრედები, იმის გამო რომ მდივნებად არიან უფ. პოლიტშემადგენლობიდან, სხვა სახეს ღებულობს წითელ არმიელთა თვალში, ვინაიდან ისინი უყურებენ მას არა როგორც მდივანს, არამედ როგორც უფროსს. საჭიროა შევუდგეთ უჯრედის მდივნების არჩევას პარტიულ—წითელ არმიელისაგან.

**გოგია** (მესამე ქართული ლეგიონი).

ლეგიონში სამი გუნდის უჯრედი არის. თვეში მიდის ოთხი, და ყოველთვის ღია კრება. წითელ არმიელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კრებებზე.

შემჩნეულია დიდი ლტოლვა პარტიაში. მუშაობის გეგმას იმუშავებს უჯრედის მდივნები და ამტკიცებს პარტბიურო.

უჯრედში ბევრია პოლიტიკურად სუსტად განვითარებული ამხანაგი. ყოველ გუნდში არის საკავშირო კომისია. სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობისსალიკვიდაციოდ. გვაქვს კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

**დმიტრიევი.** (მე 6-ე პოლკი).

ცენტრიდან დაშორებით ყოფნა გავლენას ახდენს პარტორგანიზაციის მდგომარეობაზე. პარტიულთა შორის კავშირი სუსტია.

სუსტია აგრეთვე კავშირი ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან. გუნდის უჯრედები არის 12, 5 მათგანში უჯრედის მდივნებად წითელ არმიელებია.

უჯრედების კრება უმეტესად ღიად სწარმოებს. წითელ არმიელები სცდილობენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ნაწილის მუშაობის ყოველ დარგში. პარტიულ აქტივის მუშაობა ვერ არის საკმაო თვალსაჩინო.

ჩვენი ამოცანაა ლეგიონის პარტაქტივის მუშაობის გაძლიერება.

**გერმანი** (ადერბეიჯანის მე-3-ე ტერლეგიონი.)

წევრებისა და კანდიდატების უმეტესობა კომპოლიტშემადგენლობაა.

პარტმუშაობით დატვირთულია განსაკუთრებით პოლიტხელები, რომლებიც მუშაობენ დღეში 10—12 საათს.

პარტიულთა ყოფა-ცხოვრების შესწავლა არ ჩატარებულა.

ორგანიზაციაში ძლიერი ერთსულოვნება და კავშირია. მჭიდრო კავშირი არსებობს აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

**ჩემოტარევი** (რადიო-ათასეულის ლ. ახკომკავშირის ორგანიზაციიდან). ადგილი აქვს კომკავშირის დისციპლინის დარღვევას. ყველა კომკავშირელები დადიან პოლიტსკოლაში, არის ახალგაზრდათა წრე, უპარტიოთა შორის კომკავშირლები აწარმოებენ მუშაობას ლენინის კუთხეებში. კომკავშირლები ჩაბმული არიან მუშაობის ყოველ დარგში. გუნდის უჯრედები სუსტად ხელმძღვანელობენ კომკავშირის მუშაობას.

**ნამგალაძე** (ქართ. დივიზ. მეექვსე ლეგიონი). პარტბიუროს მუშაობა იყოფა მუდმივ, ცვალბად შემადგენლობასა და მწვევამდელთა შორის. პარტმუშაობა სუსტად სწარმოებს, კომკავშირელთა დამხმარე ჯგუფები არ არიან შედგენილი ყველა ნაწილებში.

**გუცძო** (კასპიის ფლოტი). უჯრედების ხელმძღვანელი შემადგენლობა განსაკუთრებით რიგის პარტიულ მეზღვაურთაგან შესდგება. ჩვენი ამოცანაა— გავძლიეროთ რიგის პარტიულთა აქტიურობა და კარგათ განვავითაროდ პოლიტიკურად. უპარტიოები დახმარებას უწევენ უჯრედს ყოველგვარ მუშაობაში.

**ავაკუმოვი** (მე-65-ე ცხენოსანი ლეგიონი). პარტიულთა დიდი ნაკლი არის ის, რომ ისინი თითქმის სრულიად ვარ კითხულობენ გაზეთებს, რასაც შედეგად მოსდევს ჩამორჩენილობა. ლოზუნგი „ყურადღება სოფელს" ჯერ კიდევ არ არის გამუქებული პარტიის წევრთა მასებში. ძლიერდება ლტოლვა კომკავშირისაკენ. ნაწილის აღმშენებლობაში დიდი მუშაობა გაკეთდა. ესკადრონის უჯრედების მდივნები ხშირად ღებულობენ დარიგებებს, ეწყობა შეერთებული სხდომები. საზოგადოებრივი ორგანიზაციები გავრცელებულია ყველა ესკადრონებში, მაგრამ საზოგადოებებში მუშაობა სუსტია.

**ხოდოვი**( მე-8 ე ლეგიონის ახკომკავშირის ორგანიზაციიდან). კომკავშირელთა მუშაობა მიმართულია იქეთ, რათა ჩაუნერგონ უპარტიოებს კომკავშირის მნიშვნელობა. არის ლეგ. ახკომკავშირის 12 გუნდის ორგანიზატორი. ორგანიზატორთა შემადგენლობა კარგია ჯგუფებისა და კომკავშირელთა მუშაობის აღრიცხვა სუსტად მიდის. ლტოლვა კომკავშირის რიგებში დიდია. პარტკრებები ნაკლებ ყურადღებას აქცევს კომკავშირის მუშაობას.

საღამოს სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენებები ადგილებიდან აგიტპროპ-მუშაობის შესახებ.

„კრ. ვ."

## რევოლიუციონური ჩინეთი და სუნ-იატ-სენი

(გაგრძელება*)

სუნ-იატ-სენი კვლავ იძულებული შეიქნა წასულიყო ემიგრაციაში და კვლავ განეგრძო რევოლიუციონური მუშაობა.

რაკი ვიწრო რევოლიუციონურმა ინტელიგენციამ და მხოლოდ სამხედრო ძალებით მოხდარმა რევოლიუციამ ვერ გაიმარჯვა, ის შეუდგა გზის გამოძებნას, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

დიდი იმპერიალისტურ ომის დროს (1914—18 წ.წ.) დასავლეთ ევროპისა და ამერიკის გავლენა ჩინეთში საგრძნობლად შესუსტდა. ამ გარემოებით ისარგებლა იაპონიამ და წაუყენა ჩინეთის მთავრობაბს მოთხოვნილება, რომელიც 2 მუხლად ჩამოყალიბებული, ნიშნავდა ფაქტიურად ჩინეთის ხალხის სრულ დამონებას.—ეს პირობები თითქმის სრულებით მიიღო ჩინეთის მთავრობამ.

ომის მიწურულში იმპერიალისტური სახელმწიფოები ქადაგობენ და აღიარებენ, ეგრეთ წოდებულ, დამონებულ ერთა თვით გამორკვევას.

*) წინა წერილები იხ. № 70, 69,68.

ამ გარემოებამ ჩინეთის ინტელიგენციას, ნაწილობრივ თვით სუნ-იატ-სენსაც, დიდი იმედები აღუძრა, მაგრამ ისინი სასტიკად მოსტყუვდენ, ვერსალის ზავმა არა თუ გაანთავისუფლა ჩინეთის ხალხი, არამედ დააკანონა და ხელში მისცა იაპონიის მთავრობას ფრიად მდიდარი ჩინეთის შანდუნის პროვინცია ორმოც მილიონიან მცხოვრებლებით. ამ რიგათ ჩინეთის ინტელიგენციას. ეგრეთ წოდებულ „კრიტიკულად მოაზროვნე" საზოგადოებას დაეკარგა ყოველი იმედი ძველი დიპლომატიური გზით განთავისუფლებისა, ძველი საშუალებებით, ძველი გზებით.

ამ დროს იწყება რუსეთში თებერვლის რევოლიუცია, მას მოჰყვა დიდი **ოქტომბრის გადატრიალება.** დამონავებულ ჩინეთს უჩნდება გულწრფელი მეგობარი—საბჭოთა რუსეთი.

ჩინეთის ხალხი, საბჭოთა მთავრობის სახით პოულობს ნამდვილ დამცველს.—ჩინეთის ინტელიგენციაში და განსაკუთრებით კი თვით სუნ-იატ-სენში ხდება სრული გარდატეხა. ის ახლა რევოლიუციონური რუსეთის ზეგავლენით იძიებს ახალ გზებსა და ფორმებს ბრძოლისას.

მან შეითვისა რუსეთის კომუნისტური პარტიის, ამხ. ლენინის, ბრძოლის მეთოდები.

ის აუცილებლად სცნობს მასიურ ბრძოლას იმპერიალისტების წინააღმდეგ. ამ მიზნით მას ბრძოლის ასპარეზზე გამოყავს ჩინეთის მშრომელი ხალხი—მუშები, გლეხები და რევოლიუციონური ინტელიგენცია.

**იაპონიის კაპიტალის შეჭრა ჩინეთში.**

შემდეგ ხანებში ინგლისს—საფრანგეთის კაპიტალისტები თანდათან ძლიერდებოდენ ჩინეთში და 90 წლების მიწურულში სრულიად გაბატონდენ ჩინეთში. ინგლისმა, საფრანგეთმა და მეფის რუსეთმა მოახვიეს მას ისეთი სავაჭრო წესები, რომელმაც ჩინეთი მიიყვანა პოლიტიკურად და ეკონომიურად დამონებულ სახელმწიფოს მდგომარეობამდე.

დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებს არც იაპონია ჩამორჩა, მან მოინდომა ფრიად მდიდარი პროვინციის მანჯურიის ხელში ჩაგდება და საერთოდ ჩრდილო ჩინეთში გაბატონება. ამ მიზნით მან ჩინეთს 1894 წელს ომი გამოუცხადა, ამ ომში ჩინეთი სასტიკათ დამარცხდა. და 1895 წელს ჩინეთმა ზავს ხელი მოაწერა იაპონიის ნავთსადგურ ქალაქ სიმონოსეკში.

ამ ხელშეკრულების მიხედვით ჩინეთი სცნობს კორეის დამოუკიდებლობას, ე. ი. იქ სრულიად ბატონდებიან იაპონელები. აგრეთვე ამავე ზავის მიხედვით იაპონიამ ხელთ იგდო კუნძული ფორმოზა (ტაივა) და აგრეთვე ლიაოდუნის ნახევარკუნძული, რომელიც მანჯურიის სამხრეთ ნაწილს შეადგენს. ამ რიგათ იაპონია სრულიად გაბატონდა მანჯურიაში.

**ბოქსერთა აჯანყება.**

**ჩინელების პირველი ცდა უცხოელების შეიარაღებულ ძალით განდევნისა.**

საყურადღებოა აგრეთვე მოვიხსენიოთ ბოქსერთა აჯანყების ისტორია.

აჯანყება დაიწყო სექტემბერს 1901 წ., რომელიც მოაწყო მალულ ბოქსერთა საზოგადოებამ. რასაკვირველია ბოქსერებმა ვერ გაუმკლავდენ ამერიკა-ინგლისს-იაპონიის იმპერიალიზმს. აჯანყებულებს, იქნამდი მივიდა იმპერიალისტების სისასტიკე, რომ ცეცხლში სწვავდენ და მდინარეებში ახჩობდენ. ცოტა ხნის შემდეგ მთავრობა იძულებული შეიქნა ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვით ჩინეთი გარდაიქცა წმინდა წყლის კოლონიათ. იგი ვალდებული გახდა გადაეხადა 600 მილ. მანეთის კონტრიბუცია.

ამავე ოქმის მიხედვით იმპერიალისტების შეიარაღებული ძალები რჩებიან ჩინეთის ტერიტორიაზე. ევროპიელებს მიეცა უფლება ჩინეთის ქალაქებში, იქ სადაც ისინი სცხოვრობდენ, აეშენებიათ კედელი სადაც ჩინელებს ეკრძალებოდათ შესვლა. აი ასეთ დამცირებამდე მიიყვანეს იმპერიალისტებმა ჩინეთის ხალხი.

რამდენათ ფეხს იკიდებდენ ჩინეთში იმპერიალისტები, რამდენათ ისინი იმორჩილებდენ ჩინეთის ხალხს, იმდენათ ამ დამორჩილებას წინაალმდეგობას უწევდა ჩინეთის მასები. იმ ბრძოლებში, რომელსაც თავიდანვე აწარმოებდა ჩინეთის ხალხი, აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიალისტების წინაალმდეგ, მათ ბევრი ხელმძღვანელი ყავდათ, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი და შეუდრეკელი ბელადი გახდა სუნ-იატ-სენი, რომელიც დაიბადა სამხრეთ ჩინეთში 1859 წ.

ის პირველად სწავლობდა ინგლისელების სკოლაში, შემდეგ უმაღლესი სწავლა მიიღო და ექიმი გახდა. ჩინეთის არისტოკრატია, ჩინოვნიკობა, ძველი გენერლობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩამოაგდონ სუნ-იატ-სენის მთავრობა და რევოლიუციას მახვილი ჩასცენ გულში. ეს ასეც მოხდა. სუნ-იატ-სენის ადგილი დაიკავა 1915 წელს რეაქციონურმა გენერალმა იუნ-შიკაიმ, რომელმაც მოლაპარაკება გამართა ევროპის იმპერიალისტებთან, და ჩინეთის ხალხის ინტერესები გაყიდა და მით მოიგო გული დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებისა. მას მისცეს—სესხი იუდასებური დახმარება.

(შემდეგ იქნება.)

არ. კვირიკაძე.

# პარტიული ცხოვრება.

## ვინ უნდა მიაწოდოს მასალები გადამსინჯავ კომისიას.

ყველა პარტიის წევრმა კარგათ უნდა იცოდეს, თუ რა მიზეზების გამო ხდება საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების და სხვა.

კომუჯრედების გადასინჯვა და მისი უმთავრესი მიზნები.

ეს კითხვა აღნიშნულია და გარჩეულია უჯრედების კრებებზე და ყოველ დღიურ პრესაში აქვს მას დათმობილი სათანადო ადგილი.

მაგრამ, მარტო ამით არ თავდება და იჭრება საკითხის უმთავრესი დანიშნულება.

ამ საქმის სათანადოთ მოგვარებაში მთელი პარტიის შემადგენლობა და ცალკე წევრები ვალდებულია, რათა გამოიჩინონ ერთგვარი უნარიანობა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მასში.

ამას მოითხოვს ჩვენი პარტიის დისციპლინა და თვით ყველა პარტიის წევრების ინტერესები.

ჩვენი კომუნისტური პარტია, არის მუშურ-პროლეტარული პარტია, რომლის მიზანია საბოლოოდ მოსპოს კლასიური ჩაგვრა და გაამეფოს შრომის ბატონობა.

ამავე დროს დღეს მთელი ქვეყნის ერთ მეექვსედზე გაბატონებულია მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, რომლის მესაჭე და ხელმძღვანელია კომუნისტური პარტია, და როგორც მმართველ პარტიაში, მასში ყველას სურს მოიკალათოს და მიიღოს მანდატი, და ამავე დროს, რასაკვირველია, კარგი ადგილიც.

ამას ბევრნი როგორღაც ახერხებენ და პარტიაში იყრიან თავს არა საიმედო ელემენტები.

ამავე დროს ასეთი პირებს პარტიის რიგებში შემოაქვთ თავიანთი უმგვანო ნეპმანური თვისებები და ამით ზეგავლენას ახთენენ პარტიის ზოგიერთ წევრებზე.

რის შემდეგ პარტიის უმნიშვნელო ნაწილს ეჩნევა ერთგვარი მერყეობა, „სკლოკა“ და პარტდისციპლინის დარღვევა.

ყველა აღნიშნულ დეფექტებს, რასაკვირველია ადგილი არ უნდა ქონდეს ჩვენს რიგებში და პარტია ყოველთვის უსასტიკეს ზომებს მიმართავს ასეთი მოვლენების წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტია ამ საქმის გატარებას ავალებს განსაკუთრებულ გამოყოფილ კომისიებს, რომლებიც ადგილობრივ სინჯავენ უჯრედებს.

უჯრედების გასინჯვის დროს შემდგარი ოქმები და პირადი საქმეები არაფერს არ იძლევიან, რადგან მასში იშვიათან ნახავ უჯრედის უარყოფითი მხარეებს, იქ ყველაფერი რიგზეა, ოქმები ჩაკერებულია და შემდგარია პირადი საქმე.

პირად საქმეში, სადაც მოთავსებულია ფორმა № 6 და უნდა იყოს შევსებული აღნიშნული კითხვები, იქ არაფერი ცნობა არ არის, რადგან მის შევსებაზედ არ უფიქრია არც ბიუროს და არც პარტამშენებლობას.

ამას გარდა, როდესაც გამსინჯავი კომისია აწყობს საერთო კრებას, სადაც ბიურო და მდივანი აკეთებს მოხსენებას, ამ დროს მაინც დიდ კამათს არ აქვს ადგილი; ისე გამოდის თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს დაყენებული კომუჯრედში და მის მუშაობაში დეფექტს არ ქონდეს ადგილი.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი კომისია, რასაკვირველია ვერავითარ მასალებს ვერ შეკრებს და არ ექნება საშუალება სადი წარმოდგენა იქონიოს კომუჯრედის მუშაობაზედ.

რაც კომისიას გაუძნელებს მუშაობას.

ასე საკითხის მიდგომა დაუშვებელია და ამას კარგათ უნდა გრძნობდენ ამხანაგები, რომლებსაც მართლაც გული შესტკივა პარტიის სიავკარგობაზედ.

ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა რათა ამ საქმეში ყველა პარტიის წევრმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა კომისიის მიერ მოწვეულ კომუჯრედის კრებაზე და ამხილოს ის დანაკლისი, რასაც ამჩნევს კომუჯრედის მუშაობაში.

პარტიის ყველა წევრს უფლება აქვს აცნობოს კომისიას ყველა ის ცნობები, რომელიც მას მოეპოვება ამა თუ იმ პირზე.

ასეთი მიუდგომელი კომუნისტური მოქმედებით ყველა წევრი დიდ დახმარებას გაუწევს კომპარტიას და საშუალებას მისცემს კომისიას, რათა მან პირნათლათ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ს. ლომიძე.

## მეთაურთა სკოლის მესამე კომუჯრედის სამი თვის მუშაობიდან.

უჯრედის დახურული კრება შესდგა 27 მარტს. დაესწრნენ წარმომადგენლები მზექდავთა კავშირის უჯრედიდან. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ბიუროს პასუხის მგებელ მდივნის მოხსენება მისი სამი თვის მუშაობის შესახებ; 2. წინა კრებას ოქმის დამტკიცება; 3. სამოქალაქო უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგების მოხსენება, თავიანთი მუშაობის შესახებ; 4. განცხადებების განხილვა და სხვა.

პირველად კრებამ მოისმინა ბიუროს მდივანის ამხ. ხინთიბიძის მოხსენება, საიდანაც გამოირკვა შემდეგი: ამ სამი თვის განმავლობაში ბიუროს რამოდენიმეჯერ ჰქონია სხდომები, კრებები სისტემატიურად ტარდებოდა. ბიუროს წევრებს თავიდანვე ჰქონიათ განაწილებული ერთმანეთს შორის ფუნქციები. სამუშაო გეგმა თავიდანვე გამოუმუშავებიათ. ბიუროს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია როგორც შინაურ, ისე გარეშე საქმიანობისათვის, როგორიც არის: სამოქალაქო უჯრედებთან კავშირის დაჭერა, შეფობის აღება სხვა და სხვა სოფლებზე და მათთვის სათანადო დახმარების გაწევა. ბიუროს სათანადო ყურადღება მიუქცევია აგრეთვე უპარტიო კურსანტებში მუშაობისათვის. პარტამხანაგებს აბამდა აქტიურ მუშობაში, უჯრედის თითეულ წევრს აძლევდა პარტდავალებებს—ავალებდა მოხსენებების გაკეთებას და სხვა.

ამხანაგი აღნიშნავს იმასაც, რომ ბიუროს მუშაობაში ადგილი ჰქონია დეფექტებს, რომელიც გამოწვეული იყო გამოუცდელობით და გაძლიერებული სასკოლო მეცადინეობისაგან.

მიუხედავად ამისა შემჩნეულ დეფექტებს მაინც თავის დროზე ექცეოდა სათანადო ყურადღებაო.

კრებამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია ბიუროს ახალი შემადგენლობა.

მოსმენილ იქნა აგრეთვე სხვა და სხვა უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგების მოხსენებები.

პარტკორი ჯაში



# თბილისში მდგომ ნაწილების საყურადღებოთ.

### 1-ლი აპრილიდან გაზეთები მოიკითხეთ „წითელ არმიელი“-ს რედაქციაში.

## ჩვენი ნაწილები ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგების შესახებ.

### 4-ხე ლეგ. მეხუთე ასეული.

25 მარტს შესდგა ასეულის ძირითად შემადგენლობისა და წვევამდელთა გაერთიანებული კრება. ასეულის პოლიტხელმა ამხ. ბალათურიამ კრებას გააცნო 22 მარტს ტრაგიკულად დაღუპულ ამხ. ცხოვრება. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მათ ხსოვნას. ამხანაგის სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა, კომპარტიის ყველა ორგანოებს და მთელ მშრომელ ხალხს გამოუცხადოს ღრმა თანაგრძნობა, მათი საუკეთესო მუშაკების ტრაგიკულად დაღუპვის გამო, და ფიცს სდებს მათი ხსოვნის წინაშე, რომ მეხუთე ასეული და წვევამდელები, როგორც ერთი რაზმთაგანი სახელოვანი წითელ დროშოვან არმიისა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ ძვირფას ამხანაგების საქმის განსახორციელებლად.

ა. მკ—ძე

### 6-სე ლეგიონის მეცხრე ასეული.

22 მარტს მოხდა მეცხრე ასეულის ცვალებად შემადგენლობის საერთო კრება. კრება გახსნა ასეულის პოლიტხელმძღვანელმა, რომელმაც აუწყა ამხანაგებს ამხ. ამხ. მიასნიკოვის, ათარბეგოვის, მოგილევსკის და ორი მფრინავის შპილისა და სადღრაძის ტრაგიკულად დაღუპვა.

მთელმა კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მათ ხსოვნას და დაადგინა გამოუცხადოს კომპარტიას თავის მწუხარება საუკეთესო მუშაკების დაღუპვის გამო.

შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. ნამგალაძის მოხსენება ტერნაწილების შესახებ. უკანასკნელად კი ლეგიონის კონფერენციისათვის არჩეული იქნა სამი დელეგატი და ორი კანდიდატი, რომლებსაც მიეცათ სათანადო ინსტრუქციები.

დ. პანკვეტაძე.

## გურიის საბჭ.-ყრილობის დელეგატებმა გადმოგვცეს დროშა.

### მეხუთე ლეგ. 3-მე ათასეული.

29 მარტს ჩვენი ათასეული მოუთმენლად მოელოდა ძვირფას ძღვენს. ამ დღეს ოზურგეთის მაზრის საბჭოთა დელეგატების ყრილობას უნდა გადმოეცა ათასეულისათვის დროშა.

დილიდანვე ჩვენი ყაზარმის წინ თავი მოიყარეს წვევამდელების მთელმა შემადგენლობამ.

ვეწყობით მწკრივში. მეხუთე ლეგიონის მუსიკა უკრავს სამხიარულო ჰანგებს.

დღის 12 საათზე ათასეული მთელი თავისი შემადგენლობით მუსიკით გაემართა ქალაქის თეატრისაკენ. მოედანზე შემოგვეგებენ მეორე ლეგიონის წითელ-ლაშქრელები და პიონერები წითელი დროშებით.

მთელი მოედანი გაიჭედა მაყურებელი ხალხით.

მცირე ხნის ლოდინის შემდეგ გამოჩნდენ მწყობრად მოვალი საბჭოთა ყრილობის დელეგატები. თან მოჰქონდათ ათასეულზე გადმოსაცემი დროშა.

ჩვენი მუსიკა ინტერნაციონალით შეეგება ამხანაგებს, რომლებიც ძმურად მოგვესალმენ.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ყრილობის თავმჯდომარე ამხ. გურგენაძე. მან მიულოცა ათასეულს ყრილობის სახით დროშა და იმედი გამოსთქვა რომ ის გაამართლებს მშრომელი ხალხის იმედებს.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ათასეულის თავი ამხ. მესხი, რომელმაც შეფიცა ყრილობას, რომ ოზურგეთის მაზრის მშრომელი ხალხის წარმომადგენლებისაგან გადმოცემულ დროშას ძირს არ დახრის ათასეული და თავს შესწირავს მშრომელი ხალხის კეთილ დღეობას.

შემდეგ წვევამდელებთან ერთად ათასეულმა მუსიკის ქვეშ მოედანზე გამართა სპორტივარჯიშობა, რამაც ძლიერ ასიამოვნა საზოგადოება.

სამხკორი ყულისკარელი.

## ჩვენც დავაარსეთ ქიმიური საზოგადოების უჯრედი.

### პირველი საკავშირო ასეული.

28 მარტს შესდგა პირველ საკავშირო ასეულის საერთო კრება. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1. ქიმიური ომი და ქიმიური საზოგადოების დაარსების მნიშვნელობა ჩვენს ასეულში; 2. ასეულის დამხმარე ჯგუფის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ და სხვა მიმდინარე საკითხები. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ქიმიური საზოგადოების წარმომადგენელმა ამხ. გამრეკლიძემ, რომელმაც აღნიშნა თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიალისტური ომის დროს ქიმიას და ვინ დაიკავა ამ ხმრივ პირველი ადგილი. ის შეეხო აგრეთვე მომავალ ომებში ქიმიის მნიშვნელობას. აქ მან ნათელი სურათი მოგვცა ქიმიურ ბრძოლების საშინელებისა.

შემდეგ ამხანაგი გადავიდა ჩვენს კავშირში ქიმიურ საზოგადოების მუშაობაზე და მოუწოდა კრებას აუცილებლად დაარსონ ამ საზოგადოების უჯრედი. მოხსენების გარშემო გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია და ავირჩიეთ უჯრედის ბიუროს წევრები.

დამხმარე ჯგუფის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლორიამ. ის შეეხო თუ როგორ უხდებოდა ჯგუფს მუშაობა და როგორ ზომებს იღებდა სხვა და სხვა ნაკლულოვანებების წინააღმდეგ.

ზოგიერთი პროდუქტებისთქვა ამხანაგმა-სრულიად გამოუსადეგარი იყვენ სადილისათვის და ვაბრუნებდით უკან. ასე ვიქცეოდით ცუდი პურის შემთხვევებშიც რამაც ძლიერ გამოასწორა არმიელების წესიერი კვების საქმეო.

ავირჩიეთ აგრეთვე ერთი დელეგატი სამხედრო კოოპერატივის 4-ხე ყრილობისათვის. არმიელებმა მოითხოვეს აგრეთვე პარიკმახერი და მზარეულის გამოცვლა.

სამხკორი შალაშინი.

## მოგვეცით სწავლის საშვალება.

კავკასიის წით. დროშოვან არმიის ცენტრალურ კლუბთან არსებობს სამხატვრო ინსტიტუტი ორ წლიანი კურსით აქ მოვლინებული ვართ სწავლისათვის წით. არმიელები, როგორც რუსულ ნაწილებიდან ისე ქართულიდანაც. მეცადინეობა ჩვენთან სისტემატიურად ტარდება ყოველ საღამოობით.

მასწავლებლებიც ძლიერ კარგი გვყავს, მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ საჭირო საგნები. როგორიცა: ქაღალდი, ფერადები, ნახშირი და სხვა არა გვაქვს, რომ მასწავლებლის მოცემული თემა შევასრულოთ.

ხშირათ ზემო ჩამოთვლილ საგნების უქონლობის გამო გვიცდება მეცადინეობა რადგანაც წით. არმიელებს არ გვაქვს საშუალება ჩვენი ფულით შევიძინოთ ქაღალდები და ფერადები.

სასურველი იქნება, რომ არმიის ცენტრალური კლუბი გამონახავდეს საშვალებას და შეიძენდეს ჩვენთვის ქაღალდებს და ფერადებს თორემ ასეთი მეცადინეობა ნაყოფს ვერ მოგვცემს და დრო უბრალოთ დაიკარგება.

მოგვაქციე ყურადღება არმიის ცენტრალურო კლუბო და შეიძინეთ ჩვენთვის საჭირო საგნები.

ლაშქრელ—ინსტიტუტელი.

## საჭიროა ყურადღება მიექცეს.

პირველი ლეგიონის სამი წითელ-არმიელები, ჰიშკარიანი, ყვავილაშვილი და ბერიშვილი მიმაგრებული არიან სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისარიატზედ შინაურ სამსახურის გასაწევათ.

ეს ამხანაგები არიან ჩარიცხული მე-6-ე ლეგიონის მე-9-ე ასეულში, ჩვენ კი გადავგზავნეთ ცენტრში, რათა მიეცათ მათთვის ატესტატები 65 ცხენოსანთა ლეგიონისადმი, რომელიც ჩვენ გვაწვდის სურსათს.

აღნიშნულ ამხანაგების შესახებ ლეგიონს კიდევ არ მიუღია ცნობა და არც სურსათს გვაძლევენ მათთვის.

სამი თვე იქნება, რაც მათ არ მიუღიათ არც შაქარი, არც ჩაი, არც ჯამაგირი და სხვა. ძლიერ ჩამორჩენილი არიან პოლიტიკურ მეცადინეობას. მე მივეცი წინადადება ესარგებლებიათ ჩვენი პოლიტსაათებით, მაგრამ დროის უქონლობის გამო ვერ მოდიან.

საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ ისინი დაკმაყოფილებული იქნენ ყოველ მხრივად.

**დ. ჰანკვეტაძე.**

## მოგვეცით მესაყვირე.

1-ლ საარტილერიო ლეგიონს ყოველ დღიურათ უხდება ყარაულის დანიშვნა, საგუშაგოებიც ბევრი გვაქვს. ყარაულთან ერთად გადის განრინებაზედ შინა განწესებაც.

ხშირად უხერხული მდგომარეობაში ვარდებიან ნაწილის მორიგეები, რადგანაც არავითარი სიგნალი არ გაისმის განრინებისათვის. მორიგე მეთაურებს ხშირად უხდებათ გაგზავნონ რომელიმე წ. არმიელი ნაწილის მორიგესთან განრინების შესატყობინებათ. არის შემთხვევა როდესაც ვეღარ მოუსწრიათ განრინებისთვის და ვერ იცნობს თავის ერთეულის მორიგეს. ეს რომ თავიდან ავიცილოთ საჭიროა განრინებისათვის რაიმე სიგნალი დაიკრას.

მიაქციეთ ყურადღება ვისაც ეს გეხებათ და დანიშნეთ ერთი მესაყვირე.

სამხკორი **ს. ძიროვნელი.**

## მოვაწყვეთ ლენინის კუთხე.

**მე-2-ე ლეგიონის 3-ე ასეული.**

ჩვენს ასეულს ეს ერთი თვეა მხოლოდ, რაც ამშვენებს ლენინის კუთხე. მანამდე კუთხე არ გვქონებია. წითელ-არმიელების ჯამაგირებიდან გაღებული მცირე წვლილით და უფპოლიტშემადგენლობის ენერგიული დახმარებით შევსძელით ლამაზი კუთხის დაარსება. ამჟამად თავისუფალ დროს სულ იქ ატარებენ ჩვენი არმიელები და ეცნობიან ცხოვრებაში გამოსადექ სხვა და სხვა კითხვებს.

კუთხეში ცოტა მოიპოვება ქართული ლიტერატურა, რაც უმთავრესია. ამასთანავე კუთხეში არ მოგვეპოვება რუქები, საკმაოდ არა გვაქვს სკამები, მაგრამ ვიმედოვნებთ ამასაც ჩქარა შევიძენთ.

ამ საქმეში დახმარებას დაგვპირდა ბათომის კომუნალური მეურნეობის ახალგაზრდათა უჯრედი, რომელიც ძლიერ მონდომებულია, რომ გამშვენიერებული იქნეს ჩვენი კუთხე.

სამხკორი **გუჯაბიძე.**

## ტყის კვირეული წითელ ყაზარმაში.

**მცენარეულობის ავადმყოფობანი.**

(დასასრული)

მცენარეებს აქვთ კიდევ სხვა გვარი ავათმყოფობა, რასაც იწვევს სოკოები. სოკო პარაზიტი ცხოველ მცენარეა. მას არ შეუძლია მინერალურ საკვების გადამუშავება, რადგანაც მოკლებულია ხლოროფილის მწვანე მარცვლებს, რომლითაც მდიდარია ფოთლები. ამიტომ ის იზრდება ყოველთვის მცენარეებზე ან მათ ნაშთებზე საიდანაც უშრომლად სწოვს საჭირო საკვებ მასალას. ამ გვარათ ნაყოფიერი ადგილები და თვით მცენარეები პირველხარისხოვანი ბინაა სოკოსთვის, ისე მას ცხოვრება არ შეუძლია. კლასიფიკაციის მიხედვით იყოფიან ორ დიდ მთავარ ჯგუფათ: საპროფიტებათ (ე. ი. რომელნიც იზრდებიან) დამპალ მცენარეებზე და პარაზიტებათ (ე. ი. რომელნიც ცოცხალ ხეებზე ვითარდებიან და ართმევენ საჭირო საკვებ მასალას). უპირველეს ყოვლისა სოკოები ითესებიან სპორების სახით მცენარეში (ამიტომ უნდა ვერიდოთ ნერგების გვერდის შეჩეხვას ან უხეიროთ ტოტების აჭრას, რადგან შეიძლება ამ დაჭრილ ადგილს მოხვდეს სპორი, შიგ ჩაითესოს და მცენარე დაავადმყოფოს). შემდეგ კი დაქსელავენ მას ბადისებური ძაფებით, რისი საშუალებით მთელი საკვები მასალა მცენარის მიდის სოკოს საზრდოთ და ეს უკანასკნელი საზრდოს უქონლობის გამო ავათმყოფობა და კვდება. შემდეგ ამისა ისინი ამ დაავათმყოფებულ ან მკვდარ ხიდგან გადინაცვლებენ ბინას ახლო მდგარ ჯანსაღ ხეზე და მასაც ისეთ დღეში აგდებენ, როგორშიც ჩააყენეს მათი წინამორბედნი. ამ გვარათ ეს ორი დიდი და მთავარი მტერი მცენარეულობის კულტურის უნდა ყველამ კარგათ ვიცოდეთ, რომ ვებრძოლოთ მათ სერიოზული ზომებით. ბრძოლის იარაღი შემდეგია:

1) დაუშვებელია ტყეში ან ბაღში ხის გაქერქვა,

2) უნდა ავათმყოფი: დასოკოიანებული და დამდილული ხეები იქნან მოჭრილი და გატანილი სასწრაფოთ

3) მოჭრილ ხის ჯირკს უნდა შამოეცალოს ქერქი, რათა ქერქ მჭამლებს მოესპოს საშვალება შიდ გამრავლების

4) არაფრის გულისთვის არ შეიძლება მოჭრილ დამზადებულ ხეების ზაფხულზე ტყეში გაჩერება, რადგანაც ამ უკანასკნელით ხელს უწყობთ ქერქ—და მერქან მჭამელა მწერების გამრავლებას და ბარტყობას.

5) უნდა დაიყაროს ტყეებში „მჭერავი ხეები“ (მოვჭრით ხეებს და დავალაგებთ ტყეებში ან ბაღში რომლის ქერქის ქვეშ დაბინავდებიან ზემოაღნიშნული მწერები), რომელნიც ყოველ ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა გაისინჯოს გამოცდილ მცველებისგან და მატლების შიდ გამოჩეკისთანავე უნდა იქმნან სასწრაფოთ გატანილი. ასეთივე წესია სოკოთი დაავათმყოფებულ ხეების მიმართაც საჭირო, გარდა უკანასკნელი მუხლისა. კულტურული ზომა მათი წინააღმდეგ არის მორწყვა შაბიამანით ან უკეთესია კიდე „პარიზის სიმწვანით“, რომელნიც მრავლათ არიან მიწათმოქმედების კომისარიატის საწყობებში.

რაც შეეხება უკანასკნელ ზომას ეს შეიძლება ძვირი დაჯდეს, ხოლო პირველი კი ყველასაგან ადვილი ასასრულებელია, რითაც გადავარჩენთ მრავალ ძირ მცენარეს—თვით ჩვენსავე სასარგებლოთ.

**მ. დ.**

## ამბები სოფლებიდან.

**რადიო სოფლად.**

რაჭის მაზრის ორ სამაგალითო თემში-ბარში და ხოტევში, თანახმად შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ საკავშირო ცაკში წარდგენილ სიისა, დადგმულ იქნება რადიო მიმღები სადგურები.

**საექიმო დახმარების უჯრედები.**

გორის აღმასკომმა დაადგინა მაზრის 17 სოფელში მოაწყოს საექიმო დახმარების უჯრედები, რისთვისაც გადასდო 12.752 მანეთი.

**გამსესხებელი ამხანაგობანი.**

სოფ. ბაკურიანში, ახლო ხანში გაიხსნება გამსესხებელი ამხანაგობა, თანახმათ ადგილობრივი გლეხების შუამდგომლობისა.

**საძოვარის გადაცემა.**

გორის აღმასკომმა გადასცა სოფ. წითელი საყდრის მცხოვრებლებს შუალა მთის სათიბსაძოვარი.

**საბავშო სახლისათვის.**

ქუთაისის აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს ამხ. შ. ლეჟავას სახელობის საბავშო სახლისათვის აუცილებელი ნივთები და გააუმჯობესოს ბავშების კვების საქმე.

**ფიზკულტურა დუშეთში.**

დუშეთის აღმასკომმა დაადგინა ადგილობრივ ყაზარმებთან, წითელ არმიელთა და ახკომკავშირელებისათვის მოაწყოს ტანსავარჯიშო მოედანი.

**საჩუქარი ცეცხლის მქრობლებს.**

სოფ. ოსიაურში სკოლის ხანძარის ჩაქრობისათვის, ხაშურის ცეცხლის მქრობელ რაზმს გორის აღმასკომმა მისცა საჩუქარი.

**აღმასკომის მუშაობის გამოსარკვევათ.**

დუშეთის მაზრის აღმასკომის მუშაობის გამოსარკვევათ და ხალხისათვის გასაცნობათ, დუშ. ახალმა აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია.

**საფეიქრო სახელოსნო დილომში.**

დილომის გლეხებმა გადასწყვიტეს მოაწყონ საფეიქრო სახელოსნო.

**შინა მრეწველობა.**

მცხეთაში გაიხსნა შინა მრეწველობის სადგური იქვე მოწყობილია საფეიქრო სახელოსნო.

## ახალი ამბები.

—ტყავეულობის დამზადება. მიმდინარე წელში წარმოკავშირის ტყავის გადასამზადებელი ქარხანა დაამზადებს 50 ათ. ცხვრის ტყავს.

—ბრძოლა ხანძართან ტფილისში. ტფილ. ქალაქის აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს ხანძართან ბრძოლის მიზნით, ლენინის რაიონში გახსნას ცეცხლის მქრობელი რაზმის განყოფილება.

—სათესლე ხორბლის წამლობა. სიღნაღის, გორის და დუშეთის მაზრებში მოეწყო სათესლე ხორბლეულის წამლობა, რასაც გლეხები დიდის ინტერესით ეპყრობიან.

სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ახალქალაქის მეფუტკრეთა ამხანაგობას მისცა სესხათ ორი ათასი მანეთი.

—მატყლის დამზადება. მესხვარეთა ამხანაგობა „მწყემსს“ განზრახული აქვს, წელს დაამზადოს 28 ათასი ფუთი მატყლი.

—შაბიამანის მიღება. ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ახლო ხანში მიიღებს საზღვარგარეთიდან 60 ათას ფუთ შაბიამანს და 50 ათას ფუთ გოგირდს.

— ბრძოლა სტიქიურ უბედურებასთან, მებრძოლ კომისიას საქ. სახკომსაბჭომ დაავალა გამოარკვიოს საგაზაფხულო წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმისათვის გადაუდებელი ხარჯების რაოდენობა.

— შაბიამანის ნისიათ მიწოდება გლეხებს. საქ. სახკომსაბჭომ დაავალა სას.-სამ. ბანკს, მის განკარგულებაში მყოფი შაბიამანის მთელ რაოდენობა დაურიგოს ნისიათ „წარმოკავშირის“ საშუალებით მევენახე გლეხებს.

— **ხილის დამზადება.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა მიმდინარე წლის განმავლობაში საზღვარ გარედ გასაგზავნათ დაამზადოს 100 ათასი ფუთი ხილი.

— **შავი ქვის გატანა საზღვარ გარეთ.** მიმდინარე წელში საზღვარ გარედ ჭიათურიდან გატანილი იქნება გასანაღდებლათ, 30 მილიონი ფუთი შავი ქვა.

## მეცნიერება და ტექნიკა

**კავკასიური რასა ჩინეთში.**

ერთმა გერმანელმა მეცნიერმა განსიმ, რომელიც დიდიხანი არ არის რაც დაბრუნდა ჩინეთში მოგზაურობიდან, განაცხადა, რომ მდინარე იანკსე-კიანგის სათავის მიდამოებში მან ნახა ორი ტომი—ლოლო და მიუატსე, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ ეკუთვნიან მონღოლთა შთამომავლობას: ტანის კანის ფერითა და თვისი ანატომიური აგებულობით ისინი ძლიერ წააგავენ კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ოჯახს; მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბუდის სარწმუნოების ამსრულებელი არიან, მათი სარწმუნოებრივი არქიტექტურა და სკულპტურა ატარებენ არა აზიურს, არამედ თითქმის ანტიურ—ძველ ბერძნულ ნიშნებს.

განსი ფიქრობს, რომ ჩინეთში იყო კაცობრიობის აკვანი. ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი მეცნიერი მიდის იმ დასკვნამდე, სხვა და სხვა არქეოლოგიურ აღმოჩენების განხილვით, რომ ძველ ჩინურს და ძველ ევროპიულ კულტურას ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან.

**სამეცნიერო აკადემია და ქუჩების მგველი.**

ედენბურგში (ავსტრო უნგრეთი) სამეცნიერო აკადემია უდგამს ძეგლს ამ რამოდენიმე წლის უკან გარდაცვლილ ქუჩების დამგველ ტაბიას კერნს.

ამ სრულიად წერა-კითხვის უცოდინარმა კაცმა თავისი მოთხრობებით ცნობილ ბინკერს მისცა აუარება მასალები მისი საუკეთესო თხუზულებისათვის, რომელიც გამოსცა ვენის სამეცნიერო აკადემიამ. როგორც ცნობილია, გერმანელი-ცნობილი მწერლები ძმები გრიმები და სხვანი თავის მოთხრობებსა და ზღაპრებს საფუძვლად უდებდენ გლეხებიდან და გლეხის ქალებიდან გაგონილ ამბებს.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ტატიანელს.** თქვენი კორესპონდენცია „სამგლოვიარო სხდომა“ არ გავა. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ჰალელს.** კორესპონდენცია რემედასზე დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

## განცხადება.

დივიზიის ვეტექიმ ამხ. კ. მ. ფარეიშვილის მიერ შედგენილია ქართულ ენაზე და დასაბეჭდად გამზადებული წიგნები:

1. **„ცხენის მოვლა“,**

2. **„ცხენი სასოფლო მეურნეობაში და წითელ ლაშქარში, მასზედ ზრუნვა და მისი მოვლის 27 მცნება“,**

3. **„შინაურ ცხოველებისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი“,**

4. **„დაჭედვის თეორია“ პროფესორი ლანგენბახერისა (რუსულიდან თარგმნილი) და**

5. **ტაბულა „ცხენისა და მუშა საქონლის დაჭედვა“ 94 სურათით და თითეული სურათის ქვეშ ქართულ—რუსული წარწერა.**

ყველა ნაშრომები განხილული და მოწონებულია მოსახლეობასა და ჯარში გასავრცელებლად რესპუბლიკის მიწადმოქმედების კომისარიატის ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების და კ. წ. დროშოვან ლაშქრის სავეტერინარო სამ მართველოს მიერ.

თითეული წიგნი საშუალოდ ეღირება არა ნაკლებ. 45 კაპ. და არა უმეტეს 60 კაპ. დაჭედვის ტაბულა კი არა ნაკლებ 1 მანეთისა და არა უმეტეს 1 მან. 50 კაპ.

ყველა იმ სამხედრო ნაწილებმა თუ კერძო პირებმა, რომლებიც მოისურვებენ ამ წიგნების და ჭედვის ტაბულის შეძენას, **შეუძლიათ შეუკვეთონ თვით ავტორს მე-2-რე ქართულ მსრ. დივიზიის შტაბში, ოთახი მე-12-ტე.**

**დაიკარგა** კომკავშირის ცეკიდან მოცემული საწევრო წიგნაკი № 124 გრიგოლ ესოფის-ძე ხურციძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.